საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№87

„18“ „სექტემბერი“ 2009წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ასფალტის წარმოება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „იბერია ს.ც.+“. ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, ალმასიანი-საგარეჯოს ქ. №13
3. განხორციელების ადგილი – ქ. თბილისი, კაიროს ქ. №42
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 20.08.09.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა“. თბილისი, ალექსიძის ქ. №9ა.

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით შპს „იბერია სც+"-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ასფალტის წარმოების სანებართვო დოკუმენტაცია.

ასფალტის ქარხნის მოწყობა დაგეგმილია შპს „იბერია ს.ც.+"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც განლაგებულია ქ. თბილისში, კაიროს ქ. №42-ში. ამჟამად ამ ტერიტორიის დიდ ნაწილში ფუნქციონირებს კერძო ან იურიდიული პირების სხვადასხვა საწარმო და საამქროები. ობიექტი უახლოესი დასახლებული ზონიდან დაცილებულია 250 მ-ით, მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1300მ^2-ს.

ანგარიშში განხილულია ქარხნის განთავსების ალტერნატივები. ტერიტორიის ადგილმდებარეობის, ქარხნის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობის გათვალისწინებით არჩევანი შეჩერდა ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ქარხნის დაგეგმილი საქმიანობის მიზანია – სხვადასხვა მარკის ასფალტის ნარევის წარმოება, რისთვისაც იგი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო დანადგარებითა და ინსფრასტრუქტურით.

ქარხანაში პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური სქემა ძირითადად მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- მასალების მიღება;
- მიღებული მასალების ხარისხის კონტროლი;
- მასალების დროებითი დასაწყობება;
- მასალების წინასწარი მომზადება;
- მასალების ადგილობრივი ტრანსპორტირება მომზადების ადგილიდან მათი გამოყენების ადგილამდე;
- პროდუქციის დამზადება;
- მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

ტერიტორიაზე აშენებული და დამონტაჟებული იქნება შემდეგი საწარმოო ობიექტები და შენობა-ნაგებობები: ასფალტის ქარხანა; ბითუმის საცავი; საქვაბე; საოფისე და საყოფაცხოვრებო შენობა; ინერტული მასალების ღია საწყობი; ავტოსადგომი.

როგორც ანგარიშშია მოცემული საწარმოს მომარაგება ინერტული მასალებით მოხდება სხვადასხვა იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე და დასაწყობდება ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილ სანაყაროზე. ლითონის კასრებში დაფასოებული ბითუმის შემოტანა განხორციელდება თვითმცლელი ავტომანქანებით, ხოლო თხევადი ბითუმის – სპეციალური ავტოცისტერნების გამოყენებით, რომლის შესანახად ტერიტორიაზე მოეწყობა მიწისქვეშა რეზერვუარი. მინერალური ფხვნილის შემოტანა ასევე მოხდება ცემენტმზიდით და გადაიტვირთება ქარხნის ბუნკერში, საიდანაც საჭიროებისამებრ მიეწოდება შემრევ დანადგარს. სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნება ცალკე კუთხე, რომელიც დაიფარება ხრეშის საფარით.

ასფალტის წარმოებისათვის გამოყენებული იქნება არასტანდარტული წარმოების მცირე წარმადობის (8 ტ/სთ) სტაციონარული ასფალტის ქარხანა. საწვავად – ბუნებრივი აირი. წელიწადში, სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 250-ს, 8 საათიანი სამუშაო დღით და დასაქმებული იქნება 5-6 მუშაკი. საწარმო წელიწადში დაამზადებს 16 000 ტონა ასფალტს – მსხვილმარცვლოვანსა და წვრილმარცვლოვანს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ღია საწყობიდან ცივი ტენიანი ქვიშა და ღორღი მიეწოდება კვების აგრეგატის ბუნკერს. ბუნკერებიდან მასალები მიეწოდება ლენტურ კონვეიერს, რომლის მეშვეობით მასალების გაერთიანებული მასა გადაიზიდება საშრობ დოლში. ქვიშა და ღორღი გაშრობისთანავე განიცდის მუშა ტემპერატურამდე გახურებას. ბუნებრივი აირის წვის შედეგად წარმოქმნილი ცხელი აირები საშრობი დოლის გავლის შემდგომ მტვერთან ერთად მიემართება მტვერდამჭერ სისტემაში, სადაც მტვერი ილექება და შემდეგ ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

მუშა ტემპერატურამდე გახურებული ქვიშა და ღორღი საშრობ დოლიდან იტვირთება ელევატორზე და მიეწოდება ამრევი აგრეგატის სორტირების მოწყობილობაში, სადაც ხდება მასალების დაყოფა ფრაქციების (მარცვალთა ზომის) მიხედვით და ამის შემდეგ მიეწოდება ცხელი მასალის ბუნკერებს, საიდანაც ქვიშა და ღორღის ფრაქციები ჩაიტვირთება დოზატორებში.

ნარევის დასამზადებლად საჭირო მინერალური ფხვნილი მიეწოდება ამრევ აგრეგატს მინერალური ფხვნილის აგრეგატიდან, რომელიც შეიცავს მასალის შენახვისა და ტრანსპორტირების მოწყობილობებს. ამრევი აგრეგატის დოზატორები უზრუნველყოფენ ნარევში მინერალური ფხვნილის განსაზღვრული ოდენობის მიწოდებას.

მზა პროდუქციის საერთო რაოდენობიდან მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონი შეადგენს 55,6%-ს, ხოლო წვრილმარცვლოვანი – 44,4%-ს. წლიური მოთხოვნა რესურსებზე ასეთია:

ბითუმის წლიური ხარჯი – 900ტ.

მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონისათვის – 8433.41 ტ/წელ ინერტული მასალა.

წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონისათვის – 6999 ტ/წელ ინერტული მასალა და 405 ტ/წელ მინერალური ფხვნილი.

საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება განხორციელდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან, რომლის წყალსადენის მილი გადის საწარმოს ტერიტორიაზე. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარჯი შეადგენს 120.0მ^3/წელ. ასფალტბეტონის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში და ასევე ტექნიკური მიზნებისათვის წყალი არ გამოიყენება.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის წყლის მოხმარება მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი 50მ^3 მოცულობის რეზერვუარიდან.

ქარხნის ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა, რომლის საშუალებითაც ჩაშვება მოხდება ქალაქის შესაბამის საკანალიზაციო კოლექტორში.

როგორც დოკუმენტშია მოცემული, საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობის პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში, კაიროს ქუჩაზე გამავალ სამეურნეო-ფეკალურ კოლექტორში, კომპანიასთან „თბილისის წყალი" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს მოწყობის და საქმიანობის პროცესში მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურება მოსალოდნელია ტერიტორიაზე მოქმედი სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან ზეთის დაღვრის ან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში.

ასფალტის ქარხნის მოწყობის დროს მოსალოდნელია სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სამშენებლო ნარჩენების ძირითად ნაწილს წარმოადგენს არასახიფათო ინერტული ნარჩენები.

ანგარიშში მოცემულია, რომ საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების მიზნით, ტერიტორიაზე მოეწყობა მყარსაფარიანი, მცირე ზომის საწყობი, ხოლო ტერიტორიიდან გატანა მოხდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული ასფალტბეტონის ნარევის დამზადება საწარმოო ნარჩენების წარმოქმნასთან არ არის დაკავშირებული, რადგან ნარჩენები 100%-ით ბრუნდება საწარმოო ციკლში.

საწარმოში დანერგილი უნდა იქნას ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, რისთვისაც ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს სათანადო მარკირების თავდახურული კონტეინერები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ([illegible] მ^3/წელ) გატანას განახორციელებს ისანი-სამგორის რ-ნის დასუფთავების სამსახური, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ანგარიშში განხილულია ობიექტის განთავსების რაიონის კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაურის გავრცელება,

ბუნებრივი რადიაციული ფონი, გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ნიადაგები, ფლორა და ფაუნა და მათზე ზემოქმედება, ბუნებრივი რესურსები და სოციალური ასპექტები.

ანგარიშში მოცემულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშება საწარმოს მოწყობისას სპეც. ტექნიკისა და სამშენებლო მანქანების ძრავებიდან და სამუშაოების შესრულებისას. ასევე მოცემულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშება საწარმოს ფუნქციონირებისას.

ნაჩვენებია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებია: ასფალტშემრევი დანადგარი, ბითუმსადნობი, ინერტული მასალების საწყობი, კონვეიერი, ბითუმსაცავი, რეაქტორი, მინერალური ფხვნილის მიწოდება, საქვაბე. განსაზღვრულია ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი მავნე ნივთიერებების (არაორგანული მტვერი, აზოტის ოქსიდები, ნახშირბადის ოქსიდი, ნახშირწყალბადები) გაფრქვევები თითოეული დამაბინძურებელი წყაროს მიხედვით. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიხედვით, რომელიც შესრულებულია კომპიუტერულ პროგრამა "ეკოლოგ-3"-ის დახმარებით.

ანგარიშში შეფასებულია და გაკეთებულია დასკვნა, რომ საწარმოს მოწყობის და ფუნქციონირების შედეგად ნეგატიური ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიის ფლორასა და ფაუნაზე მინიმალური იქნება.

ანგარიშში განხილულია შესაძლო ავარიული სიტუაციები, მათი მინიმუმამდე დაყვანის და მათზე რეაგირების გეგმა. მოცემულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა. ანგარიშში მოცემულია საქმიანობის განხორციელების გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო და მონიტორინგის გეგმების პრინციპები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

1. შპს „იბერია ს.ც.+"-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მე-8 და მე-12 თავში მოცემული ღონისძიებების შესაბამისად;
2. საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის მტვერდამჭერი სისტემის მუშაობის ეფექტურობის პერიოდული შემოწმება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით (პად-1,2,3), რაც განსაზღვრულია ზდგ-ს ნორმატივების პროექტში;
3. შ.პ.ს. „იბერია ს.ც.+"-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს მიერ წარმოქმნილი ნარჩენების (ასევე სახიფათო ნარჩენების) მართვის კონკრეტული გეგმის დამუშავება და წარმოდგენა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
4. შ.პ.ს. „იბერია ს.ც.+"-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 2 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინოს:
   - მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილიდან არასტანდარტული ასფალტის დანადგარის სრული ტექნიკური საპასპორტო მონაცემები გრაფიკული მონაცემებით;
   - ემისიების სრული მონიტორინგის და გაბნევის ანგარიშის შედეგები;
   - მუშა პროექტი წყალმომარაგება-კანალიზაციის ნაწილი, სადაც სრულად იქნება დაანგარიშებული ყველა სახის ჩამდინარე წყლების პარამეტრები;
   - არასტანდარტული ასფალტის დანადგარის გაშვება-გამართვის სრული ტექნიკური საპასპორტო მონაცემები.

IV. დასკვნა

შპს „იბერია ს.ც.+"-ს მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების სანებართვო დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების შესრულების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)
ბ.ა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-495

ქ. თბილისი "18" 09 2009 წ.

შპს „იბერია ს.ც.+"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „იბერია ს.ც.+"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ასფალტის წარმოებაზე (ქ. თბილისი, კაიროს ქ. №42);
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №87; 18.09.09წ და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

ალექსი მაჭავარიანი
მინისტრის პირველი მოადგილე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00260

კოდი M D 1 „18" სექტემბერი 2009 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „იბერია ს.ტ. +"

2. საქმიანობის მიზანი ასფალტის წარმოება

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, კაირის ქ.№2

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეჯამების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N87; 18.09.09წ.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლ. ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწ. პირობების შესრულების პირობით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსი
ნიკოლოზ ჯანაშია

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

შპს "იბერიას ს.ც. +"

№01/007 4 სექტემბერი, 2014წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და
ბუნებრივი რესურსების დაცვის
მინისტრს ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილს

შპს "იბერიას ს.ც. +"-ის დირექტორის
ალეკო ლაცაბიძე და შპს "გარსევანი+"-ის
დირექტორის ბესიკ გარსევანიშვილის

ერთობლივი განცხადება

ბატონო ელგუჯა,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს "იბერიას ს.ც. +"-ზე 2009 წლის 18 სექტემბერს გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00260 ქ. თბილისის კაიროს №42 ასფალტის წარმოებაზე (ხრეში, ქვიშა, ბიტუმი, ფილერის შერევით).

გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შპს "გარსევანი+"-ს.

შპს "გარსევანი+" (ს/კ 206281254) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა. შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზეც ვაწერთ ხელს.

პატივისცემით,

შპს "იბერიას ს.ც. +" დირექტორი: ა. ლაცაბიძე

შპს "გარსევანი+" დირექტორი: ბ. გარსევანიშვილი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 13196
"08" 09 2014 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000109

კოდი MD1 „16" „09" 2014

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — შპს „კარსუკანი +"
2. საქმიანობის მიზანი — ასფალტის წარმოება
3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა — ქ. თბილისი, კაირის ქ. N 42
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — შპს საბუნებისმეტყველო კვლევითი ფირმა „გაბა"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი — ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N 87; 18.09.2009 წ.
7. ნებართვის პირობები — ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების გამთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) — გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

ბ.ა. — თამარ შარაშიძე

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060117026003414

ბრძანება No-555

ქ. თბილისი **16 / სექტემბერი / 2014 წ.**

შპს „იბერია ს.ც.+“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „გარსევანი+“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის” შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „იბერია ს.ც.+“-ს ასფალტის წარმოება (ქ. თბილისი) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „გარსევანი+“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2009 წლის 18 სექტემბრის №87 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „იბერია ს.ც.+“-ს და შპს „გარსევანი+“-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „იბერია ს.ც.+“-ზე 2009 წლის 18 სექტემბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00260;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბერია ს.ც+“-სა და შპს „გარსევანი+“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს „იბერია ს.ც.+“-ს და „გარსევანი+“-ს დირექტორის ერთობლივი განცხადება, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი

ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს ,,გარსევანი+"–ზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000109. 16.09.2014.

გვსურს აღნიშნული ნებართვა უვადოდ საკუთრებაში გადავცეთ შპს ,,იბერია ს.ც.+"–ს. შპს ,,იბერია ს.ც.+" (ს.კ. 205259977) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა. შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა, რაზეც ვაწერთ ხელს.

შპს ,,გარსევანი+"–ის დირექტორი: ბესიკ გარსევანიშვილი

შპს ,,LTD. "GARSEVANI+" 206281254

შპს ,,იბერია ს.ც.+"–ის დირექტორი: ალექსანდრე ლაცაბიძე

შპს იბერია ს.ც.+ 205259977

ტ. 568 73 72 68.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
5299

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060121907651417

ბრძანება **N0-154**

ქ. თბილისი **28** / მარტი / **2017** წ.

შპს „გარსევანი+"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „იბერია ს.ც.+"-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გარსევანი+"-ის ასფალტის წარმოებაზე (თბილისი, კაიროს ქ. №42) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „იბერია ს.ც.+"-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2009 წლის 18 სექტემბრის №87 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გარსევანი+"-ზე 2014 წლის 16 სექტემბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000109;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გარსევანი+"-სა და შპს „იბერია ს.ც.+"-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გარსევანი+"-ისა და შპს „იბერია ს.ც.+"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000246

კოდი MD!

„28“ „03“ 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „იბერია ს.ჯ.+“

2. საქმიანობის მიზანი

ასფალტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

ქ. თბილისი, კახეთის გ. №42.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

შპს სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამა.“

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №87; 18.09.2009.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი
თამარ შარაშიძე

ბ.ა. [signature]

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +“